ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №148

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2014 წლის 22 მაისი , ერთის მხრივ გარდაბნის მუნიციპალიტეტი (მის: ქალაქი გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. №73), წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის ზაზა ონიანის სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შ.პ.ს „ ნიუ კომპანი"-ს (მის: ქ.თბილისი წერეთლის გამზ. № 141 ა) წარმოდგენილი მისის დირექტორი გიორგი ლომიძის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი"), შორის და საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქრთველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №471 განკარგულების საფუძველზე მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს სოფელ ქვემო კაპანახჩში სოფლის გზაზე ასფალტის ორმული შეკეთება (ღირ 15317,50), სოფელ ქესალოში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოასფალტება (ღირ 83680,40), სოფელ ნაზარლოში შიდა გზების მოასფალტება (ღირ 83680,40), სოფელ სართიჭალაში საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის მოასფალტება (300მ) (ღირ 78705,40) სამუშაოები თანდართული ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად.

2.2 კლასიფიკატორის კოდი: **45200000;**

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი, კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.4 შემსყიდველი ვალდებულია აწარმოოს ინსპექტირება საამისოდ შერჩეულ პირთან ერთად სამუშაოს მიმდინარეობაზე, საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, სპეციფიკაციების, ხელშეკრულების პირობების და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების შესაბამისად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები.

3.5 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

3.6 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების(შესრულებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მოცულობების ინსპექტირება-კონტროლი და ფორმა №2-ის მიღება)კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური.

3.7 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების(ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულების ინსპექტირება-კონტროლი, სამუშაოების შესრულების ვადების კონტროლი, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება) კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური.

3.8 ფარული სამუშაოების წარმოებისას მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ აცნობოს წერილობით გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს ინსპექტირების ჯგუფის მივლინებისთვის.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება მოხდება სამუშაოს შესრულებაზე წარმოდგენილი ფორმა №2 –ის საფუძველზე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შემოწმების და დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება სრულიად მიღებულად, მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.7 პუნქტში მითითებულ პირები).

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს ინსპექტირების (ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი) ჯგუფის დასკვნა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები (გაწეული მომსახურების შესახებ).

5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6.შესრულებული სამუშაოს გარანტია

6.1 შესრულებულ სამუშაოზე გარანტია უნდა იყო გარდაბნის მუნიციპალიტეტის ექსპლუატაციაში მიმღები კომისიის მიერ ექსპლუატაციაში მიღებიდან არანაკლებ 2 (ორი) წელი.

6.2 საგარანტიო პერიოდში შესრლებულ სამუშაოზე გამოვლენილ წუნს მიმწოდებელი აღმოფხვრის საკუთარი სახსრებით.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

7.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

7.4 შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის და საბანკო გარანტიის საფუძველზე, არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 30%-სა. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულების ვადას.

8. ფასები

8.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

8.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 261383,70 (ორას სამოცდაერთი ათას სამას ოთხმოცდასამი და 70 თეთრი) ლარს,

8.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

8.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები

11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

12.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.5 ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

13.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა

17.1 ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი

ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

18. შეტყობინება

18.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

18.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

20.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან 2014 წლის 10 სექტემბერი ჩათვლით.

21. სხვა პირობები

21.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

21.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

21.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

21.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

გარდაბნის მუნიციპალიტეტი
მის: ქალაქი გარდაბანი, დ. აღმაშენებლის №73
საიდენტიფიკაციო კოდი: № 226573204
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"-ს
ბ.კ. № LBRTGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: №
GE59LB0120137100012000

„მიმწოდებელი"

ი.მ "ნიუ კომპანი"
მის: ქ. თბილისი წერეთლის გამზ № 141ა
საიდენტიფიკაციო კოდი № 443857925
ს.ს. „თი ბი სი ბანკი -ს"
ბ.კ. №TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: №
GE13TB7281136050100001

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ზაზა ენიანი

შპს „ ნიუ კომპანი"-ის
დირექტორი

გიორგი ლომიძე

სოფ.ნაზარლოში შიდა გზების მოასფალტება

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა

ხარჯთაღრიცხვო ღირებულება : 87,714-40 ათასი ლარი

№	სამუშაოების და დანახარჯების დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	მასალები		ხელფასი (ლარი)		მექანიზმი და ტრანსპ.		სულ ღირებულება (ლარი)
				ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	2	3	4							11
1	გზის საფარის მოსწორება მექანიზმის საშუალებით	მ2	1590		0.0		0.0	0.2	318.0	318.0
2	დაგროვილი მასის დატვირთვა მექანიზმით ავტოთვითმცლელზე და გატანა 5 კმ მანძილზე	ტ	142		0.0		0.0	5.0	710.0	710.0
3	გრუნტის მოტკეპნა მექანიზმით	მ2	1590		0.0		0.0	0.2	318.0	318.0
4	საფუძვლის მოწყობა ქვიშა ხრეშოვანი ნარევით ქვედა ფენა, სისქით 10 სმ (დატკეპნით) (1590X0.1X1.22)	მ3	194	12.0	2,328.0	1.0	194.0	2.0	388.0	2,910.0
5	საფუძვლის მოწყობა გზის საფარის ქვეშ (დატკეპნით) ზედა ფენა, სისქე 8 სმ (1590X0.08X1.22) (ფრაქციული ღორღი (0÷40 მმ)	მ3	155	16.0	2,480.0	1.0	155.0	2.0	310.0	2,945.0
6	ასფალტობეტონის საფარის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ასფალტობეტონით სისქით 5 სმ ქვედა ფენა (15.90X0.05X240.0)	ტ	191	128.0	24,448.0	2.0	382.0	6.0	1,146.0	25,976.0
7	ასფალტობეტონის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონით სისქით 4 სმ ზედა ფენა (15.90X0.04X240.0)	ტ	153	138.0	21,114.0	2.0	306.0	6.0	918.0	22,338.0
	ჯამი:				50,370.0		1,037.0		4,108.0	55,515.0
	სატრანსპორტო ხარჯები (5%)									2,518.5
	ჯამი:									58,033.5
	ზედნადები ხარჯები (10%)									5,803.4
	ჯამი:									63,836.9
	გეგმიური დაგროვება (8%)									5,106.9
	ჯამი:									68,943.8
	გაუთვალისწინებელი სამუშაოები (2.86%)									1,971.8
	ჯამი:									70,915.6
	დ.ღ.გ. (18%)									12,764.8

	ჯამი:									
	საპროექტო სამუშაოები (ხელშეკრულებით)									83,680.4
	საინჟინრო- ტექ.ექსპერტიზა (2.2%)									2,193.0
	სულ ჯამი:									1,841.0
										87,714.4

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა

სოფელი სართიჭალა საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის მოასფალტება

შედგენილია საბაზრო ფასებით 82500

№	სამუშაოთა ჩამონათვალი	განზ. ერთ.	რაოდენობა	მასალები		ხელფასი (ლარი)		ტრანსპორტი		სულ ღირებულება (ლარი)
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	გრუნტის დამუშავება მექანიზმით მე-3 კატეგორიის გრუნტებში სისქით 20სმ	მ³	300.0		0,0		0,0	3,0	900,0	900,0
2	გრუნტის დამუშავება ხელით	მ³	10.0		0,0	20,0	200,0		0,0	200,0
3	გრუნტის დამუშავება მექანიზმით ავტოთვითმცლელებზე (300×1.2)	მ³	360.0		0,0	0,5	180,0	1,0	360,0	540,0
4	გრუნტის დამუშავება ხელით ავტოთვითმცლელებზე (10×1.2)	მ³	12.0		0,0	8,2	97,8		0,0	97,8
5	გრუნტის გატანა 3კმ. მანძილზე ავტოთვითმცლელებით (310×1.75)	ტ	573.5		0,0		0,0	2,5	1 433,8	1 433,8
6	გზის საფუძვლის მოტკეპნა მტკეპნის საშუალებით	მ²	1500.0		0,0	0,1	150,0	0,2	300,0	450,0
7	ღორღის ფენის მოწყობა სისქით 12სმ (დატკეპნით) ქვედა ფენა	მ²	1500.0		0,0	0,3	375,0	0,4	525,0	900,0
8	ღორღის ფენის მოწყობა სისქით 8სმ (დატკეპნით) ზედა ფენა	მ²	1500.0		0,0	0,2	315,0	0,4	525,0	840,0
9	ფრაქციული ღორღი 0÷40მმ (300×1.25)	მ³	375.0	16,0	6 000,0		0,0		0,0	6 000,0
10	ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ასფალტ-ბეტონის ცხელი ნარევით, სისქით 5.0სმ	მ²	1500.0	15,6	23 400,0	0,4	600,0	0,6	900,0	24 900,0
11	ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ასფალტ-ბეტონის ცხელი ნარევით, სისქით 3.0სმ	მ²	1500.0	9,7	14 550,0	0,4	600,0	0,6	900,0	16 050,0
	ჯამი:				43 950,0		2 517,8		5 843,8	52 311,6

										2 197,5
	სატრანსპორტო ხარჯები (5%)									54 509,1
	ჯამი:									5 450,9
	ზედნადები ხარჯები (10%)									59 960,0
	ჯამი:									
	გეგმიური დაგროვება (8%)									4 796,8
										64 756,8
	ჯამი:									1 942,7
	გაუთვალისწინებელი სამუშაოები (3%)									66 699,5
	ჯამი:									12 005,9
	დღგ 18%									78 705,4
	ჯამი:									2 063,0
	საპროექტო სამუშაოები (ხელშეკრულება)									
	შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა (2.2%)									1 731,5
										82 499,9
	ჯამი:									

GEORGIA GARDABANI
226561468

სოფ.ქესალოში შიდა გზების მოასფალტება

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა

თაღრიცხვო ღირებულება : 87,714-40 ათასი ლარი

სამუშაოების და დანახარჯების დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	მასალები		ხელფასი (ლარი)		მექანიზმი და ტრანსპ.		სულ ღირებულება (ლარი)
			ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
2	3	4							11
გზის საფარის მოსწორება მექანიზმის საშუალებით	მ2	1590		0.0		0.0	0.2	318.0	318.0
დაგროვილი მასის დატვირთვა მექანიზმით ავტოთვითმცლელზე და გატანა 5 კმ მანძილზე	ტ	142		0.0		0.0	5.0	710.0	710.0
გრუნტის მოტკეპნა მექანიზმით	მ2	1590		0.0		0.0	0.2	318.0	318.0
საფუძვლის მოწყობა ქვიშა ხრეშოვანი ნარევით ქვედა ფენა, სისქით 10 სმ (დატკეპნით) (1590X0.1X1.22)	მ3	194	12.0	2,328.0	1.0	194.0	2.0	388.0	2,910.0
საფუძვლის მოწყობა გზის საფარის ქვეშ (დატკეპნით) ზედა ფენა, სისქე 8 სმ (1590X0.08X1.22) (ფრაქციული ღორღი (0÷40 მმ)	მ3	155	16.0	2,480.0	1.0	155.0	2.0	310.0	2,945.0
ასფალტობეტონის საფარის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ასფალტობეტონით სისქით 5 სმ ქვედა ფენა (15.90X0.05X240.0)	ტ	191	128.0	24,448.0	2.0	382.0	6.0	1,146.0	25,976.0
ასფალტობეტონის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონით სისქით 4 სმ ზედა ფენა (15.90X0.04X240.0)	ტ	153	138.0	21,114.0	2.0	306.0	6.0	918.0	22,338.0
ჯამი:				50,370.0		1,037.0		4,108.0	55,515.0
სატრანსპორტო ხარჯები (5%)									2,518.5
ჯამი:									58,033.5
ზედნადები ხარჯები (10%)									5,803.4
ჯამი:									63,836.9
გეგმიური დაგროვება (8%)									5,106.9
ჯამი:									68,943.8
გაუთვალისწინებელი სამუშაოები (2.86%)									1,971.8
ჯამი:									70,915.6

ჯამი:									83,680.4
საპროექტო სამუშაოები (ხელშეკრულებით)									2,193.0
საინჟინრო- ტექ.ექსპერტიზა (2.2%)									1,841.0
სულ ჯამი:									87,714.4

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა №1

სოფელ ძვ. კაპანახჩში სასოფლო გზების ასფალტბეტონის საფარის ორმული შეკეთება

(სამუშაოების და ხარჯების დასახელება, ობიექტის დასახელება)

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება: 16,149 ათასი ლარი

№	სამუშაოს ჩამონათვალი	ბანზ. ერთ.	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ჯამი
				ერთეულის ფასი	ჯამი	ერთეულის ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	დაზიანებული ასფალტბეტონის საფარის მოხსნა ანევმოჩაძუჩით	m^3	20.00	0.00	0.00	25.00	500.00	500.0
2	მოხსნილი ასფალტბეტონის საფარის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე ხელით	m^3	24.00	0.00	0.00	7.48	179.52	179.5
3	სამშენებლო ნაგვის გატანა 3 კმ-ზე ავტოთვითმცლელებით	ტ	40.00	0.00	0.00	3.00	120.00	120.0
4	ნაწიბურების დამუშავება ხერხით	გ.მ.	145.00	0.00	0.00	2.00	290.00	290.0

6	თხევადი ბიტუმის მოხსნა ნაწიბურებზე (0-60 ლ/მ.მ.)	ლ	87.00	0.80	69.60	0.50	43.50	113.10
7	საფარის ძვეადა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ასფალტბეტონის ცხელი ნარევით (საშუალო სისქით 5 სმ)	$მ^2$	281.00	16.20	4552.20	0.40	112.40	4664.60
8	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ასფალტბეტონის ცხელი ნარევით (საშუალო სისქით 4 სმ)	$მ^2$	281.00	13.80	3877.80	0.41	115.21	3993.01
	ჯამი:				8724.60		1447.63	10172.23
	სატრანსპორტო ხარჯები 5 %							436.23
	ჯამი:							10608.46
	ზედნადები ხარჯები 10 %							1060.85
	ჯამი:							11669.31
	გეგმიური დაგროვება 8 %							933.54
	ჯამი:							12602.85
	გაუთვალისწინებელი ხარჯები 3 %							378.09
	ჯამი:							12980.94
	დღგ 18 %							2336.57

							403.00
	საპროექტო სამუშაოები						428.89
	შესრულებულ სამუშაოთა ექსპერტიზა (2,8 %)						16149.00
	ჯამი:						

შეასრულა: GFN LTD GEORGIA 416289885 გ. ამბროლაძე